საქართველოს მთავრობის განკარგულება

№ 58 2019 წლის 24 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე

1. „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისათვის დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, არ გავრცელდეს შეზღუდვები და მიეცეს თანხმობა:

ა) დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვა“ – პროგრამის

ფარგლებში (პროგრამული კოდი: 27 01 06) განსაზღვროს არა უმეტეს 59 ერთეულით;

ბ) დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა „სასწრაფო, სამედიცინო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება“ – პროგრამის ფარგლებში (პროგრამული კოდი: 27 03 03 07 02) განსაზღვროს არა უმეტეს 3 432 ერთეულით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**